ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" **www.barristers.ge**

ა.ა. #231

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და
სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ **დიმიტრი ხუნდაძეს**

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები"
თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა #7

მ ი მ ა რ თ ვ ა

(ხმაურის საკანონმდებლო რეგულაციების შემოღებასთან დაკავშირებით)

ბატონო დიმიტრი,

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა" შეისწავლეს ქ. თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, თედო კობახიძის ინიციატივით შექმნილი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ეხება რეგულაციებს ხმაურის შეზღუდვასთან/აკრძალვასთან დაკავშირებით. ამასთან, ორგანიზაცია გაეცნო დედაქალაქის მოქალაქეთა ერთი ჯგუფის მომართვის წერილსაც, სადაც საუბარია, „ახალგაზრდა ადვოკატებმა" მხარი დავუჭიროთ პარლამენტში ინიცირებულ წინადადებას. როგორც ცნობილია, საკითხზე მსჯელობას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, თუმცა უცნობია, კომიტეტი როდის განიხილავს კანონპროექტს და რამდენად აღმოჩნდება გაზიარებული ხმაურის რეგულაციასთან არსებული მიდგომები.

„ახალგაზრდა ადვოკატების" შეფასებით, ხმაურთან დაკავშირებული პრობლემები, უკვე მრავალი წელია აწუხებს დედაქალაქის მოსახლეობას. არსებობს ჩვენი ორგანიზაციისადმი კონკრეტული მოქალაქეების მხრიდან სხვა მომართვიანობაც, რომლებიც ითხოვენ დასაშვებ ნორმატივებზე მაღალი ხმაურის, განსაკუთრებით საცხოვრებელ და დასასვენებლ ადგილებში, როგორიცაა პარკები და სკვერები, აკრძალვას. უამრავი ადამიანია, ვინც უკვე დაზარალდა ნორმაზე დიდი ხმაურის შედეგად. ასევე, გასათვალისწინებელია ბავშვების ფაქტორიც, რომლებიც ხმაურით გამოწვეული სტრესული გარემოს მსხვერპლად გვევლინებიან და შესაბამისად, დიდი საფრთხე არსებობს მათში არაჯანსაღი ფსიქიკის ფორმირებისთვის. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ხმაური არის მრავალი დაავადებების გამოწვევი წყარო. შესაბამისად აღნიშნული პრობლემის მოგვარების და გადაჭრის საკითხი, მნიშვნელოვანი დაისვას ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. ვინაიდან და რადგანაც მუდმივი ხმაური, ხშირ შემთხვევაში, ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას, მისაღებია, საკანონმდებლო ჩარჩო ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი იქნეს დაცული.

ადამიანის ჯანსაღ და უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლითაცაა გარანტირებული, როგორც ადამიანის არსებობისთვის და განვითარებისთვის აუცილებელი ფუნდამენტური

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7 599 010344
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com

უფლება, თუმცაღა ყოველი ნორმის არსებობა, მოითხოვს მისი რეალიზებისათვის კონკრეტული ღონისძიებების გატარებასაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ნორმა, როგორც ასეთი, დარჩება მხოლოდ ფურცელზე დაწერილ და განუხორციელებელ დებულებად, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია.

„ახალგაზრდა ადვოკატები" მრავალი განვითარებული ევროპული ქვეყნის პრაქტიკის საფუძველზეც, მიესალმება ხმაურთან დაკავშირებული რეგულაციების შემოღებას. შესაბამისად, მიესალმება წარმოდგენილი კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესაძლებლობასაც. ამასთან, მოგმართავთ თხოვნით, რათა საკანონმდებლო წინადადების საკომიტეტო სხდომაზე განხილვის დროს, ორგანიზაციას მეწოდოს შესაბამისი ინფორმაცია, რათა შევძლოთ დასწრება და ჩვენი ჩართულობის უზრუნველყოფა.

პატივისცემით,

არჩილ კაიკაციშვილი
„ახალგაზრდა ადვოკატების"
ხელმძღვანელი

18 მაისი, 2015 წ.
ქ. თბილისი